



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

კურსდამრთავრეზუმეზ კვლევის ანგარიში (2021)

აბსტრაქტი

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამრთავრეზუმეზთა კვლევის ანგარიშს. გამოიკითხა 2020 წლის კურსდამრთავრეზუმეზები.

სარჩევი

შესავალი.....	3
კვლევის მიზანი	3
კვლევის მეთოდოლოგია.....	3
სამიზნე ჯგუფი	4
შერჩევა.....	4
მონაცემთა შეგროვების მეთოდი	4
ეთიკური მოსაზრებები.....	5
ვალიდობა და სანდოობა	5
კვლევის შედეგები - მონაცემთა ანალიზი	5
ძირითადი მიგნებები.....	14
რეკომენდაციები	14
დანართი 1	16

შესავალი

კოლეჯი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე. ამისათვის იგი ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემას, შეიმუშავებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სტანდარტებს და სისტემატიურად აფასებს სასწავლო პროცესის ხარისხს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიზანს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილი, ხარისხიანი განხორციელების უზრუნველყოფა წარმოადგენს, ხოლო მის ერთ-ერთ ამოცანას პროგრამის კურსდამთავრებულთა საქმიანობისა და მათი დამოკიდებულების შესწავლა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არსებითად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების მაღალი ჩართულობა. ამ მიზნით, 2020-2021 სასწავლო წელს ასევე გამოიკითხა ინფორმაციის ტექნოლოგიის, საოფისე საქმის, საექთნო საქმის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები და მოდულთა განმახორციელებლები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოდულებზე დასწრება-დაკვირვებაც და პროფესიულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების (მტკიცებულებათა) ანალიზი/ვერიფიკაცია.

გასათვალისწინებელია, რომ კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი რეალიზების წესების ჩამოყალიბების მიზნით.

კვლევის მიზანი

კურსდამთავრებულთა კვლევის მიზანს წარმოადგენდა სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გაგვეგო თუ როგორ წარიმართა კურსდამთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, რათა უფრო სრულყოფილად მომხდარიყო პრობლემის იდენტიფიცირება.

სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა შპს ბარაკონის პრაქტიკოსი ექთნის და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში და გამოკითხვამდე 1 წლით ადრე მინიჭებული ჰქონდათ კვალიფიკაცია.

შერჩევა

კვლევის ხარისხი არა მარტო დამოკიდებული იყო მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების შესატყვისობაზე, არამედ კვლევაში გამოყენებული შერჩევის სტრატეგიის ადეკვატურობაზე. შერჩევის ზომა დამოკიდებული იყო განსხვავებული ქვეჯგუფების, სტრატეგიის რაოდენობაზე. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ქვეჯგუფის შერჩევის ზომა უნდა ყოფილიყო რეპრეზენტაციული, სტრატეგიული განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრის მიხედვით. ამასთან გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ, შესაძლებელი იყო ზოგიერთ მონაწილეს დაეტოვებინა კვლევა, ან უარი ეთქვა კვლევაში მონაწილეობაზე. აქედან გამომდინარე, შერჩევის ზომა საჭიროზე მეტი უნდა ყოფილიყო.

კურსდამთავრებულთა შერჩევისას გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევა, ხოლო შერჩევის ტიპად - ხელმისაწვდომი შერჩევა. აღნიშნული განპირობებული იყო იქიდან, რომ იძლევა რესპოდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევის შესაძლებლობას. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი უფრო ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის.

მონაცემთა შეგროვების მეთოდი

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი, რადგან ის გვაძლევს რიცხვებით გამოხატულ მაჩვენებელს ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე. მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოყენებულ იქნა გამოკითხვა. კერძოდ, **კურსდამრთავრებულთა გამოკითხვისას** გამოყენებული იყო სტრუქტურირებული/სტანდარტიზებული კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია კითხვებს და შედგებოდა რამდენიმე თემატური ჯგუფისგან. კვლევის ძირითადი ამოცანების შესწავლისთვის დახურული კითხვების გამოყენება განპირობებული იყო რაოდენობრივი მონაცემების მიღების საჭიროებით, ხოლო ღია კითხვები კვლევის მონაწილეებს საკუთარი სიტყვებით - პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევდა. შესაბამისად, კვლევის მონაწილეები არ იყვნენ შეზღუდულები პასუხების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიებით.

კურსდამთავრებულთა კვლევა ადმინისტრირებული იყო სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით. თუ კვლევის სავარაუდო მონაწილეს არ სურდა, ან არ შეეძლო პასუხის გაცემა, საჭირო მოცულობის შერჩევის შენარჩუნების მიზნით, შესაძლებელი იყო ამ რესპოდენტის

შემცვლელთან დარეკვა. ასევე, შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო ელექტრონული გამოკითხვა. შესაბამისად, კითხვარის შევსება რესპოდენტისთვის მოსახერხებელ დროსა და გარემოცვაში იყო შესაძლებელი, რაც საჭიროების შემთხვევაში მას ინფორმაციის გადამოწმების და პასუხებზე დაფიქრების შესაძლებლობას მისცემდა.

მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავდა კურსდამრთავრებულებისგან მოძიებულიყო ის გზები თუ საშუალებები, რომელიც განაპირობებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას.

ეთიკური მოსაზრებები

აღნიშნული კვლევის ჩატარების დროს გათვალისწინებულ იქნა ეთიკური მოსაზრებები. კერძოდ:

- თითოეულ კვლევის მონაწილეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმა;
- კურსდამრთავრებულებიდან მიღებული ინფორმაცია არის კონფიდენციალური და ანონიმური.

ვალიდობა და სანდოობა

მნიშვნელოვანია, კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვების მეთოდი ყოფილიყო მდგრადი და სტაბილური. ამისთვის, შეიქმნა ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფდა ზუსტ, რეპრეზენტაციულ და რელევანტური მონაცემების მიღებას. არავალიდური მონაცემების მიღებისგან თავის არიდების მიზნით არ იქნა გამოყენებული ორაზროვანი და მიმანიშნებელი კითხვები.

კვლევის შედეგები – მონაცემთა ანალიზი

კურსდამრთავრებულთა გამოკითხვა მნიშვნელოვან ინფორმაციის მომცემ ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის მიზნებისთვის და მათი აზრი მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით და კვლევაში მონაწილეობა მიიღო პრაქტიკოსი ექთნის და ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 18-დან 16-მა კურსდამრთავრებულმა. კერძოდ, 10-დან 9 ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამრთავრებულმა, ხოლო 8-დან 7-მა პრაქტიკოსი ექთნის პროგრამის კურსდამრთავრებულმა.


მათ რამდენიმე თემატური ჯგუფის ფარგლებში შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კერძოდ, თემატური ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი ინფორმაცია;
- მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები;
- მიმდინარე საქმიანობა;
- სამომავლო გეგმები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის შეფასება.

კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემების საფუძველზე იკვეთება, რომ ყველა გამოკითხული მდებარეობითი სქესისა და არცერთი მათგანი არ წარმოადგენს, რომელიმე სტატუსის (იძულებით გადაადგილებული პირი; სოციალურად დაუცველი პირი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი) მქონე პირს. ზოგადად, კვლევის ფარგლებში მეტწილად გამოკითხულია 21-25 წლის კურსდამრთავრებულები. 40 წლის და ზემოთ გამოკითხულთა რაოდენობა შეადგენს 3-ს.


რესპოდენტების უმრავლესობის მიერ მიღწეული ყველაზე მაღალი საგანმანათლებლო საფეხური პროფესიული განათლებაა (75%), ხოლო 18.8%-სთვის უმაღლესი განათლება.

გრაფიკი 1. რა არის თქვენ მიერ მიღწეული ყველაზე მაღალი საგანმანათლებლო საფეხური, რომელიც დაამთავრეთ?



გამოკითხულ კურსდამრთავრებულებს უნდა შეეფასებინათ ის ფაქტორები, რამაც გავლენა იქონია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას. ძირითადად გამოიკვეთა ორი ფაქტორი. ერთი ფაქტორია საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა და მეორე - დასაქმების რეალური შესაძლებლობა.


გრაფიკი 2. გთხოვთ, დაასახელოთ ის ფაქტორები, რომელთაც გავლენა იქონიეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას.




გამოკითხულ რესპოდენტთა თითქმის აბსოლიტურ უმრავლესობას (16-დან 14 გამოკითხულს) არ უფიქრია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე. ორ კურსდამრთავრებულს, რომელსაც უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე, მიზეზად ასახელებს ოჯახურ მდგომარეობასა და დროის სიმცირეს.

ყველა გამოკითხული იგივე პროფესიას აირჩევდა ახლა რომ აბარებდეს, ხოლო იგივე კოლეჯს არ აირჩევდა მხოლოდ ერთი რესპოდენტი, რის მიზეზად ასახელებს ტერიტორიულ მდებარეობას.

გრაფიკი 3. ახლა რომ აბარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე კოლეჯს?




გრაფიკი 4. რატომ არ აირჩევდით იგივე კოლეჯს? (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)




გამოკითხულმა რესპოდენტებმა ასევე შეფასეს სწავლის პერიოდამდე და შემდგომ მიმდინარე საქმიანობა. კოლეჯში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში დასაქმებული იყო კურსდამრთავრებულთა 43.8%, ხოლო სწავლობდა 12.5%. მიღებული შედეგები ასე გამოიყურება.

გრაფიკი 5. რას საქმიანობდით კოლეჯში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში?




მიუხედავად იმისა, რომ სწავლის პერიოდში დასაქმებული არ იყო გამოკითხულთა ერთი მესამედი, ხოლო თითქმის დანარჩენი ნაწილი ან სრულ, ან ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო 16-დან 11-მა გამოკითხულმა, ხოლო სამმა იქ განაგრძო მუშაობა, სადაც მანამდე მუშაობდა. ამჟამად, პროგრამის დასრულებიდან 1 წლის შემდეგ, დასაქმებულია 13 (81.3%) გამოკითხული, ხოლო 3 (18.8%) დაუსაქმებელია. ამასთან, პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კურსდამრთავრებულია დასაქმებული, ხოლო ყველა დაუსაქმებელი ფარმაცევტის თანამშრომლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამრთავრებულია.

გრაფიკი 6. რას საქმიანობთ ამჟამად?




გამოკითხული რესპოდენტები, რომლებიც კოლეჯში მიღებული განათლებით ვერ/არ მუშაობენ, დაუსაქმებლობის ძირითად მიზეზს ვერ ასახელებენ. ამასთან, თუ რატომ არ ეძებენ სამუშაოს, ერთი რესპოდენტი ასახელებს, რომ არ აქვს შესატყვისი ოჯახური პირობები, ხოლო მეორე რესპოდენტი აპირებს სამსახურის მოძებნას.

გრაფიკი 7. გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ კოლეჯში მიღებული სპეციალობით?




დასაქმებული 13 რესპოდენტიდან 10 მათგანი მუშაობს კერძო დაწესებულებაში, ხოლო 3 - სახელმწიფო დაწესებულებაში. სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებით ვერსიები განსხვავებულია. თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული ასახელებს, რომ სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც პრაქტიკებს გადიოდა, ხოლო ყოველი მეოთხე გამოკითხული ასახელებს, რომ სამსახური დაიწყო კოლეჯის დახმარებით.

გრაფიკი 8. სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ვერსიები




დასაქმებულ რესპოდენტთა სამუშაო ხელშეკრულების ხანგრძლივობა განსხვავებულია.

გრაფიკი 9. გთხოვთ, გვითხართ, რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება გაქვთ?




კვლევის შედეგების თანახმად, კურსდამრთავრებულთა ყოველთვიური შემოსავალი საშუალოდ 500-დან 700 ლარამდე მერყეობს.

გრაფიკი 10. დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური ხელფასი (ლარებში)?




რესპოდენტთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა (84.6%) ამბობს, რომ კოლეჯში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან. ასევე, აბსოლუტური უმრავლესობის შეფასებით, მათი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

გრაფიკი 11. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას?




გამოკითხულ დასაქმებულ რესპოდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია სამსახურით.

გრაფიკი 12. კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით?




რესპოდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ გარკვეული უნარები და ცოდნა, რომელთა განვითარების საჭიროებასაც ხედავენ. ძირითადად გამოკითხული რესპოდენტები საჭიროებენ უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დონის გაუმჯობესებას.

გრაფიკი 13. ისურვებდით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას?



გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას პროფესიული განათლების მიღების შემდეგ პროფესიასთან დაკავშირებით დამატებითი ტრენინგები არ გაუვლია, ხოლო ვისაც გაუვლია ტრენინგის შინაარსი შეეხებოდა ფარმაცოლოგიასა და რადიოლოგიას.


გრაფიკი 14. პროფესიული განათლების მიღების შემდეგ გაირეთ თუ არა დამატებითი ტრენინგები პროფესიასთან დაკავშირებით?



გამოკითხულ რესპოდენტებს ასევე უნდა შეეფასებინათ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებით სხვადასხვა ასპექტები, რომლებიც გამოუჯობესებას საჭიროებენ. გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პრაქტიკის ინსტრუქტორის კომპეტენცია არ საჭიროებს გაუმჯობესებას. ასევე საკმაოდ დადებითად შეფასდა სწავლების ხარისხი, სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა, სწავლებისა და შეფასების მეთოდები. გამოკითხულ რესპოდენტთა შეფასება თანაბრად გაიყო საკვანძო კომპეტენციების დაუფლების


შესაძლებლობასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა ნახევარი ფიქრობს, რომ აღნიშნული ასპექტი მეტნაკლებად საჭიროებს გაუმჯობესებას, ხოლო მეორე ნახევარი ფიქრობს, რომ სულაც არ საჭიროებს გაუმჯობესებას.

გრაფიკი 15. ახლა ჩამოვითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას?



რესპოდენტთა შეფასებით, მთლიანობაში კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას.

გრაფიკი 16. თქვენი აზრით, მთლიანობაში, კოლეჯში მიღებული განათლება უწყობს თუ არა ხელს სამუშაოს დაწყებას?



ძირითადი მიზნები

1. ძირითადად გამოკითხულია 21-25 წლის კურსდამრთავრებულები.
2. გამოკითხულ რესპოდენტთა თითქმის აბსოლიტურ უმრავლესობას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში არ უფიქრია სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე.
3. იგივე პროფესიას აირჩევდა ყველა გამოკითხული კურსდამრთავრებული.
4. იგივე კოლეჯს აირჩევდა თითქმის აბსოლიტური უმრავლესობა. ერთი მათგანი არ აირჩევდა მხოლოდ ტერიტორიული მდებარეობიდან გამომდინარე.
5. ამჟამად დასაქმებულია 16-დან 13 გამოკითხული. პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კურსდამრთავრებულია დასაქმებული, ხოლო ყველა დაუსაქმებელი ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამრთავრებულია.
6. 3 კურსდამრთავრებულია დაუსაქმებელი, რომელთაც უჭირს დაუსაქმებლობის ძირითადი მიზეზის დასახელება. ამასთან, თუ რატომ არ ეძებენ სამუშაოს, ერთი რესპოდენტი ასახელებს, რომ არ აქვს შესატყვისი ოჯახური პირობები, ხოლო მეორე რესპოდენტი აპირებს სამსახურის მოძებნას.
7. ყოველი მეოთხე გამოკითხული ამბობს, რომ სამსახური შესთავაზეს იქ, სადაც პრაქტიკებს გადიოდა, ხოლო ყოველმა მეოთხემ სამსახური დაიწყო კოლეჯის დახმარებით.
8. გამოკითხულ რესპოდენტთა დაახლოებით 70%-ის შეფასებით საჭიროებენ უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დონის გაუმჯობესებას.
9. გამოკითხულთა აბსოლიტური უმრავლესობის შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლის და პრაქტიკის ინსტრუქტორის კომპეტენცია არ საჭიროებს გაუმჯობესებას.
10. თითქმის აბსოლიტური უმრავლესობის შეფასებით (92.3%) კვალიფიკაცია სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისია.
11. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სასწავლო პროგრამების მიმართ კურსდამრთავრებულები დადებითად არიან განწყობილნი, რადგან უმრავლესობის (81.3%) შეფასებით კოლეჯში მიღებული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს დაწყებას.

რეკომენდაციები

სასურველია თითოეული პროგრამის ფარგლებში აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, მათ შორის ზოგადი მოდულების ქრილში. გამომდინარე იქიდან, რომ კურსდამრთავრებულები ისურვებდნენ უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დონის გაუმჯობესებას, სასურველია სწავლების პროცესში აქცენტი გაკეთდეს ზოგადი მოდულების

სწავლების საჭიროების მნიშვნელობაზე და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. რადგან პროფესიული განათლება წარმოადგენს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ განათლებას, შეფასების მთავარი სამიზნეც პრაქტიკული უნარების დემონსტრირება უნდა გახდეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესი და განხორციელდეს მეცადინეობები/ლექციები.

გამოკითხულ რესპოდენტთა მესამედს მიაჩნია, რომ სწავლებისა და შეფასების მეთოდები მეტნაკლებად საჭიროებენ გაუმჯობესებას. შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ამა თუ იმ სწავლის შედეგზე, რომელი სწავლება-სწავლის მეთოდი გამოიყენონ. ამ მიზნით, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით.

დანართი 1

კითხვარი კურსდამრთავრებულთათვის

შპს ბარაკონი კითხვარი კურსდამრთავრებულთათვის

ინსტრუქცია

მოგესალმებით!

ქალბატონი/ბატონი _____ (რესპოდენტის სახელი) ბრძანდებით?

მე გახლავართ _____ (თქვენი სახელი და გვარი), გიკავშირდებით კოლეჯი ბარაკონიდან. გაცნობებთ, რომ ტარდება კვლევა, რომლის მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამრთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კერძოდ, გავიგოთ თუ როგორ წარიმართა კურსდამრთავრებულთა საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით (განათლება, დასაქმება, თვითდასაქმება, უმუშევრობა).

გთხოვთ, გულახდილად უპასუხოთ კითხვარში მოცემულ ყველა შეკითხვას ისე, როგორც თქვენ მიგაჩნიათ სწორად. თქვენი შეფასებები არის კონფიდენციალური, ის მხოლოდ კვლევის ჯგუფის მიერ იქნება გამოყენებული შეჯამებული სახით, ხარვეზების გამოსავლენად და კვლევის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები საფუძვლად დაედება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინტერვიუ გაგრძელდება დაახლოებით 10 წუთი.

წინასწარ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისთვის!

კითხვარის ნომერი / _____ /

A. ზოგადი ინფორმაცია

A.1. გთხოვთ, მითხრათ თქვენი ასაკი / _____ /

A.2. სქესი:

1. მდედრობითი
2. მამრობითი

A.3. გთხოვთ, მითხრათ თქვენი სოციალური სტატუსი.

1. იძულებით გადაადგილებული პირი
2. სოციალურად დაუცველი პირი
3. შეზღუდული შესაძლებლობის პირი
4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი
5. არცერთი

A.4. რა არის თქვენ მიერ მიღწეული ყველაზე მაღალი საგანმანათლებლო საფეხური, რომელიც დაამთავრეთ?

1. საბაზო განათლება (9 კლასი)
2. საშუალო განათლება (12 კლასი)
3. პროფესიული განათლება
4. უმაღლესი განათლება

A.5. გთხოვთ, მითხრათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც დაასრულეთ.

1. საექთნო საქმე/პრაქტიკოსი ექთანი
2. ფარმაცია (სააფთიაქო)/ფარმაცევტის თანაშემწე
3. ინფორმაციის ტექნოლოგია
4. საოფისე საქმე/ოფისის მენეჯერი
5. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი

B. მიღებულ განათლებასთან დაკავშირებული ასპექტები

B.1. გთხოვთ, დაასახელოთ ის ფაქტორები, რომელთაც გავლენა იქონიეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებისას.

1. საინტერესო პროფესიის დაუფლების შესაძლებლობა
2. მშობლების/ახლობლების რჩევა
3. დასაქმების რეალური შესაძლებლობა
4. პროფესიულ პროგრამაზე სწავლის საფასურის არარსებობა
5. პროფესიული პროგრამის/სასწავლებლის პრესტიჟულობა

B.2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პერიოდში გიფიქრიათ თუ არა სწავლის შეწყვეტაზე/მიტოვებაზე?

1. დიახ (გრძელდება)
2. არა (გადასვლა კითხვაზე B.3.)

B.2.1. რა იყო მიზეზი, რის გამოც ფიქრობდით სწავლის შეწყვეტას?

1. დასაქმება
2. ოჯახური მდგომარეობა
3. დაბალი ხარისხის სწავლება
4. სხვა პროფესიით დაინტერესება
5. დროის სიმცირე

77. სხვა _____ /მითხარით თქვენი მიზეზი/

B.3. ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე პროფესიას?

1. დიახ (გრძელდება)
2. არა (გადასვლა კითხვაზე B.4.)

B.3.1 რატომ არ აირჩევდით იგივე პროფესიას?

1. აღნიშნული პროფესია დაბალანაზღაურებადია
2. აღნიშნული პროფესიით ვერ დავსაქმდი
3. სწავლის დაბალი ხარისხის გამო
4. აღარ მაინტერესებს ეს პროფესია

77. სხვა _____ /მითხარით თქვენი მიზეზი/

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.4. ახლა რომ აზარებდეთ, აირჩევდით თუ არა იგივე კოლეჯს?

1. დიახ (გრძელდება)
2. არა (გადასვლა კითხვაზე B.5.)

B.4.1. რატომ არ აირჩევდით იგივე კოლეჯს? (შესაძლებელია აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

1. სწავლების დაბალი დონის გამო
2. პრაქტიკული კომპონენტის დაბალი დონის გამო
3. პროფესიული მასწავლებლების არაკვალიფიციურობის გამო
4. სასწავლო რესურსების არარსებობის/არასაკმარისობის გამო
5. ტერიტორიულად არ მაწყობდა

77. სხვა _____ /მითხარით თქვენი მიზეზი/

99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

B.5. რას საქმიანობდით კოლეჯში ჩაბარებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში?

1. მუშაობდით

2. იყავით თვითდასაქმებული
3. უმუშევარი იყავით
4. სწავლობდით

B.6. მუშაობდით თუ არა სწავლის პერიოდში?

1. დიახ, სრულ განაკვეთზე
2. დიახ, ნახევარ განაკვეთზე
3. დიახ, პერიოდულად (სეზონურად)
4. არ ვმუშაობდი

B.7. პროფესიული პროგრამის დასრულების შემდეგ დაიწყეთ თუ არა მუშაობა?

1. მუშაობა გავაგრძელე იქ, სადაც მანამდე ვმუშაობდი
2. დიახ, დავიწყე მუშაობა
3. არა, არ დამიწყია მუშაობა

C. მიმდინარე საქმიანობა

C.1. რას საქმიანობთ ამჟამად? (შესაძლებელია დააფიქსიროთ მაქსიმუმ ორი ძირითადი საქმიანობა)

1. სწავლობთ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (გრძელდება სწავლასთან დაკავშირებული კითხვათა ბლოკი და შემდეგ - შეკითხვიდან D.1.)
2. მუშაობთ (დაქირავებით დასაქმებული) (გადასვლა დასაქმებასთან დაკავშირებულ კითხვათა ბლოკზე და შემდეგ - შეკითხვაზე D.1.)
3. ხართ თვითდასაქმებული (გადასვლა თვითდასაქმებასთან დაკავშირებულ კითხვათა ბლოკზე და შემდეგ - შეკითხვაზე D.1.)
4. ხართ სტაჟიორი/შეგირდი (გადასვლა სტაჟირებასთან დაკავშირებულ კითხვათა ბლოკზე და შემდეგ - შეკითხვაზე D.1.)
5. ხართ დაუსაქმებელი (გადასვლა უმუშევრობასთან დაკავშირებულ კითხვათა ბლოკზე და შემდეგ - შეკითხვაზე D.1.)

სწავლასთან დაკავშირებული კითხვათა ბლოკი

C.1.1. სპეციალობა, რომელსაც ეუფლეთ პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არის თუ არა დაკავშირებული მანამდე მიღებულ სპეციალობასთან?

1. დიახ
2. ნაწილობრივ არის
3. არ არის

C.1.2. გთხოვთ, გვითხრათ სწავლის პროფილის შეცვლის მიზეზი.

1. დასაქმების მეტი შანსი

2. არ გამაჩნია კონკრეტული მიზეზი
3. არ შემიცვლია, პარალელურად ვსწავლობდი სხვაგანაც
4. ორივე საქმე მაინტერესებს

77. სხვა _____ /დაასახელეთ/

დასაქმებასთან დაკავშირებული კითხვათა ბლოკი

C.2.1. რა ტიპის დაწესებულებაში მუშაობთ?

1. კერძო დაწესებულებაში
2. სახელმწიფო დაწესებულებაში
3. სხვა ტიპის დაწესებულებაში (არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია, საერთაშორისო ორგანიზაცია ან სხვა);
4. სხვის ოჯახში

77. სხვა _____ /დაასახელეთ/

C.2.2. სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული ვერსიები

1. სამსახური დაიწყეთ დამოუკიდებლად (მოიძიეთ ინფორმაცია ინტერნეტის, ტელევიზიის, გაზეთისა ან რადიოს მეშვეობით)
2. სამსახურის დაწყებაში დაგეხმარათ ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები ან ოჯახის წევრები
3. სამსახური შემოგთავაზეს იქ, სადაც სწავლის დროს გადიოდით პრაქტიკას
4. სამსახური დაიწყეთ კოლეჯის დახმარებით

77. სხვა _____ /დაასახელეთ/

C.2.3. გთხოვთ, გვითხართ, რა ხანგრძლივობის სამუშაო ხელშეკრულება გაქვთ?

1. არ მაქვს ხელშეკრულება
 2. 1 წლამდე
 3. 1-დან 3 წლამდე
 4. 3 წელზე მეტი
 5. უვადო
99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

C.2.4. დაახლოებით, რამდენია თქვენი ყოველთვიური ხელფასი (ლარებში)?

1. 300 ლარზე ნაკლები
2. 301-დან 500 ლარამდე
3. 501-დან 700 ლარამდე
4. 701-დან 900 ლარამდე

5. 901 ლარზე მეტი
6. უარი პასუხზე

C.2.5 დაკავშირებულია თუ არა კოლეჯში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან?

1. დიახ
2. ნაწილობრივ
3. არა

C.2.6. როგორ შეაფასებდით თქვენი კვალიფიკაციისა და სამუშაოს მოთხოვნების შესაბამისობას?

1. ჩემი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები
2. ჩემი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია
3. არასაკმარისი კვალიფიკაცია მაქვს
4. ჩემი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული ჩემს სამუშაოსთან

C.2.7. კმაყოფილი ხართ თუ არა სამსახურით?

1. დიახ
2. ნაწილობრივ
3. არა

თვითდასაქმებასთან დაკავშირებული კითხვათა ბლოკი

C.3.1. დაკავშირებულია თუ არა კოლეჯში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან?

1. დიახ
2. ნაწილობრივ
3. არა

C.3.2. თვითდასაქმების ფარგლებში, რა ტიპის კერძო ბიზნესი/მეურნეობა გაქვთ?

1. სოფლის მეურნეობა
2. ტურიზმი
3. ხელნაკეთი ნივთები
4. აფთიაქი
5. უძრავი ქონება

77. სხვა _____/დაასახელოთ/

C.3.3. დაახლოებით რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი (ლარებში)?

1. 300 ლარზე ნაკლები
2. 301-დან 500 ლარამდე

3. 501-დან 700 ლარამდე
4. 701-დან 900 ლარამდე
5. 901 ლარზე მეტი
6. უარი პასუხზე

C.3.4. რატომ გადაწყვიტეთ საკუთარი ბიზნესის წარმოწყობა?

1. გინდოდათ, გქონოდათ საკუთარი ბიზნესი
2. ვერ იშოვეთ სამსახური
3. გამოცდილების მიღება გსურდათ
4. ოჯახური მდგომარეობის გამო

77. სხვა _____/დაასახელეთ/

C.3.5. როგორ შეაფასებდით თქვენ კვალიფიკაციასა და საკუთარი ბიზნესის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისობას?

1. ჩემი კვალიფიკაცია უფრო მაღალია ვიდრე სამუშაო მოთხოვნები
2. ჩემი კვალიფიკაცია და სამუშაოს მოთხოვნები შესაბამისობაშია
3. არასაკმარისი კვალიფიკაცია მაქვს
4. ჩემი კვალიფიკაცია არ არის დაკავშირებული ჩემს სამუშაოსთან

C.3.6 კმაყოფილი ხართ თუ არა იმით, რომ გაქვთ საკუთარი ბიზნესი?

1. დიახ
2. ნაწილობრივ
3. არა

სტაჟირებასთან დაკავშირებული კითხვათა ბლოკი

C.4.1. დაკავშირებულია თუ არა კოლეჯში მიღებული სპეციალობა თქვენს საქმიანობასთან?

1. დიახ
2. ნაწილობრივ
3. არა

C.4.2. იღებთ თუ არა ანაზღაურებას?

1. დიახ
2. არა (გადასვლა კითხვაზე D.1.)

C.4.3. დაახლოებით რამდენია თქვენი ყოველთვიური საშუალო შემოსავალი (ლარებში)?

1. 300 ლარზე ნაკლები

2. 301-დან 500 ლარამდე
3. 501-დან 700 ლარამდე
4. 701-დან 900 ლარამდე
5. 901 ლარზე მეტი
6. უარი პასუხზე

უმუშევრობასთან დაკავშირებული კითხვათა ბლოკი

C.5.1. გთხოვთ, დაასახელოთ მიზეზი, რატომ ვერ/არ მუშაობთ კოლეჯში მიღებული სპეციალობით?

1. შემოთავაზებული ხელფასი დაბალია
2. პროფესიაზე დაბალი მოთხოვნაა
3. არ მაქვს საკმარისი გამოცდილება
4. არ დავინტერესებულვარ/არ მიცდია მოძებნა
5. არ გაქვთ ძირითადი უნარები (მაგ. უცხო ენების ცოდნა)
99. არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა

C.5.2. რატომ არ ეძებთ სამუშაოს?

1. არ გაქვთ შესატყვისი ოჯახური პირობები
2. აპირებთ სწავლის გაგრძელებას
3. არ გსურთ სამსახურის მოძებნა
4. გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები
5. საკუთარი ბიზნესის დაწყება გსურთ
6. ჯარში ყოფნის გამო

77. სხვა _____/დაასახელოთ/

D. სამომავლო გეგმები და პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის შეფასება

D.1. გეგმავთ თუ არა სწავლის გაგრძელებას?

1. დიახ
2. ჯერ არ გადამიწყვიტავს
3. არა

D.2. ისურვებდით თუ არა ქვემოთ ჩამოთვლილი ცოდნისა და უნარების განვითარებას?

1. უცხო ენის ცოდნა
2. კომუნიკაციის უნარი

3. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა
4. პროფესიული პრაქტიკული უნარები
5. პროფესიული თეორიული უნარები
6. მეწარმეობრივი უნარები

D.3. პროფესიული განათლების მიღების შემდეგ გაირეთ თუ არა დამატებითი ტრენინგები პროფესიასთან დაკავშირებით?

1. დიახ
2. არა (გადასვლა კითხვაზე D.4.)

D.3.1. რა ტიპის/შინაარსის ტრენინგი გაირეთ?

1. დაასახელეთ _____

D.4. ახლა ჩამოგითვლით პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტს. გთხოვთ, გვითხრათ, რომელი მათგანი საჭიროებს გაუმჯობესებას?

ასპექტები	საჭიროებს გაუმჯობესებას	მეტნაკლებად საჭიროებს გაუმჯობესებას	არ საჭიროებს გაუმჯობესებას
დასაქმებაზე ზრუნვა	1	2	3
სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა	1	2	3
საკვანძო კომპეტენციების დაუფლების შესაძლებლობა	1	2	3
პრაქტიკული კომპონენტი	1	2	3
სწავლების ხარისხი	1	2	3
სწავლების მეთოდები	1	2	3
სწავლის შეფასების მეთოდები	1	2	3
პრაქტიკის ინსტრუქტორის კომპეტენცია	1	2	3
პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპეტენცია	1	2	3

D.5. თქვენი აზრით, მთლიანობაში, კოლეჯში მიღებული განათლება უწყობს თუ არა ხელს სამუშაოს დაწყებას?

1. დიახ, სრულად
2. ნაწილობრივ

3. არა

E. თუკი გსურთ ისეთი აზრის დაფიქსირება, რომელიც ზემოთ არც ერთ კითხვაში არ გაჟღერდა, გთხოვთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება/შენიშვნა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ზოგადად პროფესიული განათლების შესახებ.

მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისთვის!